ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №11

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
(კონსოლიდირებული ტენდერი CON190000470)

ქ. თბილისი **05.03. 2020 წელი**

ერთი მხრივ, (სსიპ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ბოგვის საჯარო და ს/კ230867078), შემდგომში – „შემსყიდველი“, წარმოდგენილი მისი დირექტორი მარინე მჭედლიშვილის სახით და, მეორე მხრივ, ი.მ. გიორგი კანდელაკი „ვესტა“, შემდგომში – „მიმწოდებელი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის, გიორგი კანდელაკის სახით, ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები“, A4 ფორმატის პირველი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის 2020 წლის კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის, (შემდგომში - კანონი) 20² მუხლის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 14 დეკემბრის №14 ბრძანებით დამტკიცებული „კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების შესახებ“, აგრეთვე საქართველოს მთავრობის 2019 წლის 21 ნოემბრის №2395 განკარგულების საფუძველზე, „2020 წლის განმავლობაში A4 ფორმატის საბეჭდი ქაღალდის სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის საშუალებით განხორციელების თაობაზე“ (CON190000470) (შემდგომში კონსოლიდირებული ტენდერი) შედეგად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - სატენდერო დოკუმენტაციის საფუძველზე და მასში განსაზღვრული პირობების შესაბამისად, შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, თანდართული ყველა დოკუმენტით და დოკუმენტაციით, რომლზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. დღე, კვირა, თვე - კალენდარული დღე, კვირა, თვე, თუ ხელშეკრულებით ან/და სატენდერო დოკუმენტაციით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

1.4. შემსყიდველი - ორგანიზაცია, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ახორციელებს შესყიდვას ხელშეკრულებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პირობების მიხედვით.

1.5. „მიმწოდებელი“ - იურიდიული/ფიზიკური პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ახორციელებს მომსახურების გაწევას ხელშეკრულებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პირობების მიხედვით.

1.6. საქონელი - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7. სატენდერო კომისია – საქართველოს მთავრობის 2019 წლის 21 ნოემბრის №2395

განკარგულების საფუძველზე შექმნილი სატენდერო კომისია.

1.8. სატენდერო დოკუმენტაცია - 2020 წლის კონსოლიდირებული ტენდერის (CON190000470) სატენდერო დოკუმენტაცია, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების საგანი და შესყიდვის ობიექტი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს, A4 ფორმატის პირველი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის (CPV – 30197630) (შემდგომში - საბეჭდი ქაღალდი, რომელიც აკმაყოფილებს A4 ფორმატის პირველი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის 2020 წლის კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციითა და დანართით განსაზღვრულ ტექნიკურ მაჩვენებლებს) შესყიდვა. სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული CON190000470 სატენდერო დოკუმენტაციით, მიმწოდებლის სატენდერო წინადადებითა და ტარიფებით.

2.2. შესყიდვის ობიექტია 40. შეკვრა A4 ფორმატის პირველი ხარისხის საბეჭდი ქაღალდი.

2.3. ხელშეკრულებაში მითითებული შესასყიდი საბეჭდი ქაღალდის რაოდენობა საორიენტაციო ხასიათისაა და შესაძლებელია შეიცვალოს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.

2.4. საქონლის დეტალური აღწერა, ტექნიკური მახასიათებლებლები განსაზღვრულია დანართი N1-ით, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა 310,80 ლარი.

3.2. ერთი შეკვრის ღირებულება შეადგენს 7.77 (შვიდი ლარი და 77თეთრი) ლარს.

3.3. ხელშეკრულების 3.1 პუნქტში აღნიშნულ ფასში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი გადასახადი.

3.4. ღირებულება განისაზღვრება ხელშეკრულების დანართი N1-ის შესაბამისად.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მიწოდების ვადები და ადგილი

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტი შესაბამისობაში იქნება ხელშეკრულებასთან.

4.2. ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღისა.

4.3. საბეჭდი ქაღალდის მიწოდება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად, 2020 წლის 01 იანვრიდან 2020 წლის 31 მარტის ჩათვლით (მიწოდების ვადა შესაძლებელია აღემატებოდეს აღნიშნულ ვადას არაუმეტეს 10 სამუშაო დღით), შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

4.4. ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტების მიწოდების ადგილია ქ. თბილისი აღმაშენებლის 55/1.

4.5. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საბეჭდი ქაღალდის მიტანა საკუთარი ხარჯებით მხოლოდქ.თბილისის ტერიტორიაზე, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დასახელებულ მისამართზე (დასაწყობების გარეშე)

5. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ შესაბამისი უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

5.2. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების 5.1. პუნქტში აღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირები არიან: სკოლის დირექტორი მარინე მჭედლიშვილი, ხოლო მიმწოდებლის მხრიდან გიორგი კანდელაკი.

6. ანგარიშწორების პირობები

6.1. ანგარიშსწორება შემსყიდველის მხრიდან მოხდება მიწოდებულ საქონლზე მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში.

6.2. დაფინანსების წყარო: 2020 წლის ბიუჯეტი.

6.3. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

6.3.1. ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

6.3.2. ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო;

6.3.3. მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.1.1. მიაწოდოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული რაოდენობისა და ხარისხის მქონე საქონელი; იმ შემთხვევაში თუ ერთჯერადად მისაწოდებელი საბეჭდი ქაღალდის რაოდენობა ნაკლებია 25 შეკვრაზე, მიმწოდებელი არ არის ვალდებული საბეჭდი ქაღალდი მიაწოდოს საკუთარი ხარჯებით.

7.1.2. დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

7.1.3. პასუხი აგოს საბეჭდი ქაღალდის ხარისხის შესაბამისობაზე სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებთან და დანართი N1 -ით დადგენილ ტექნიკურ მაჩვენებლებთან;

7.1.4. ქაღალდის მიწოდება განახორციელოს შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი წერილობითი მოთხოვნიდან, არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა;

7.1.5. უზრუნველყოს შემსყიდველისათვის უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონლის მიწოდება;

7.1.6. წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების პროცესში წამოჭრილ გაუთვალისწინებელ ხელშემშლელ გარემოებებთან დაკავშირებით, დაუყოვნებლივ გაუგზავნოს შემსყიდველს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ.

7.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

მოსთხოვოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

7.3. შემსყიდველი ვალდებულია:

7.3.1. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან წინამდებარე ხელშეკრულებითა და სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

7.3.2. მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით, მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობით და კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში;

7.3.3. შეწყვიტოს ხელშეკრულება, სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მითითების გაცემის შემთხვევაში;

7.3.4. უზრუნველყოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონლის მიღება;

7.3.5. უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;
7.3.6. შეასრულოს ხელშეკრულებითა და სატენდერო დოკუმენტაციით მასზე დაკისრებული ვალდებულებები.
7.4. შემსყიდველი უფლებამოსილია:
7.4.1. საქონლის მიღება/ჩაბარების დროს ჩაატროს შემოწმება/კონტროლი (ლაბორატორიული კვლევა ან უფლებამოსილი სპეციალისტის/ექსპერტის დასკვნა) მიწოდებული საქონლის ხარისხის და რაოდენობის შესაბამისობა ხელშეკრულებასთან და დანართი N 1-ან;
7.4.2. მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებითა და სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. საქონლის მიწოდების ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მისაწოდებელი საქონლის ღირებულების 0,2% ოდენობით.
8.2. აღმოჩენილი დეფექტის, ნაკლის გამოსწორებისათვის ან/და შეცვლისათვის მიმწოდებელმა თუ გადააცილა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულების შესრულების საერთო ვადას, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე წინამდებარე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1 % ოდენობით.
8.3. ხელშეკრულებით აღებული ვალდებულების შეუსრულებლობისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5% ოდენობით.
8.4. სანქციების დაწესება არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიები

9.1. .იმ შემთხვევაში თუ სახელშეკრულებო ღირებულება აღემატება 200 000 ლარს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებამდე წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის უპირობო (გარანტიით გათვალისწინებული თანხა შემსყიდველმა უნდა მიიღოს ყოველგვარი დამატებითი განმარტებებისა და მტკიცებულებების წარდგენის გარეშე, პირველი მოთხოვნისთანავე) გამოუთხოვადი საბანკო გარანტია. გარანტია წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან/და სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური“-ს მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან, - ეროვნულ ვალუტაში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა უნდა განისაზღვრებოდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არანაკლებ 2020 წლის 15 მაისის ჩათვლით.
9.2. ხელშეკრულების შესრულების გარანტია წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
9.3. ხელშეკრულების უზრუნველყოფის უპირობო გამოუთხოვადი საბანკო გარანტიის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2% ის ოდენობით.
9.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულების შემდეგ შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია დაუბრუნოს მიმწოდებელს საბანკო გარანტია ან/და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია მოთხოვნიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში.

9.5. მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია.

9.6. წარმოდგენილი ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია არ მცირდება მიმწიდობლების მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პროპორციულად.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადება ძალაშია 2020 წლის 31 მარტის ჩათვლით. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საბეჭდი ქაღალდის მიწოდების ვადა სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას შესაძლებელია აღემატებოდეს არაუმეტეს 10 სამუშაო დღით.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 31 მარტის ჩათვლით.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

11.2. თუ წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დაუძლეველი ძალა (ფორს-მაჟორი)

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები, საომარი მოქმედებები, ეპიდემია, კარანტინი და ა.შ. თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში წინამდებარე ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებებისაგან.

12.3. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.4. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობა დადასტურებულ უნდა იყოს უფლებამოსილი

სახელმწიფო ორგანოს მიერ.

13. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

13.1. კონტროლის განმახორციელებელი კომისია ან საამისოდ უფლებამოსი პირი, უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება).

13.2. კონტროლისას ხილვადი დეფექტის, ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, კონტროლის განმახორციელებელმა კომისიამ ან საამისოდ უფლებამოსილმა პირმა უნდა შეადგინოს შემოწმების აქტი.

13.3. ვიზუალური დათვალიერების დროს, ხილვადი დეფექტის ან/და ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, კომისია ან საამისოდ უფლებამოსილი პირი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მიმწოდებელს აღმოჩენილი დეფექტის, ნაკლის შესახებ და მოსთხოვოს ნაკლის, დეფექტის გამოსწორება ან შეცვლა.

13.4. აქტის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, ჩატარდება მოწოდებული საქონლის ექსპერტიზა.

13.5. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ კონტროლთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა, ცვლილების შეტანა

14.1. მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობითა და კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხის გადაწყვეტის მიზნით. გადაწყვეტილების მიღების დროს სატენდერო კომისია ხელმძღვანელობს პროპორციულობის, მიზანშეწონილობისა და თანაზომიერების პრინციპებით.

14.2. საქონლის მიწოდების ვადის 10-ზე მეტი სამუშაო დღით გადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით.

14.3. სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის გადაწყვეტილების მიღებისას თუ სახელშეკრულებო ღირებულება აღემატება 200 000 ლარს, მიმწოდებელს ჩამოერთმევა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია სრულად და ეკისრება პირგასამტეხლო საბეჭდი ქაღალდის საერთო ღირებულების 5% ოდენობით.

14.4. შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება:

14.4.1. მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

14.4.2. ხელშეკრულების ვადის გასვლის საფუძველზე.

14.5. ხელშეკრულების ცალკეული პირობების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულების შესრულებისაგან.

14.6. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

15. სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა

შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
15.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

16. კონფიდენციალურობა

16.1. მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ ერთმანეთის საკუთრებას, არ გახადონ მესამე პირთათვის ცნობილი ყველა ის ინფორმაცია, რომელიც ითვლება კონფიდენციალურად.
16.2. ვალდებულება კონფიდენციალურობის შესახებ ძალაში რჩება ხელშეკრულების დამთავრების შემდეგაც.

17. სხვა პირობები

17.1. არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
17.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
17.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე.
17.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ

17. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"
სსიპ თეტრიწყაროს მუნიციპალიტეტის
სოფელ ბოგვის საჯარო სკოლა
ს/კ 230867078
ტელ: 591058777
ელ-ფოსტა:bogviskola@gmail.com
ბანკის კოდი: BAGAGE22
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა: GE38BG0000000161239734

მარინე მჭედლიშვილი

„მიმწოდებელი"
ი.მ. გიორგი კანდელაკი „ ვესტა“
ქ. თბილისი, აღმაშენებლის №55/1
(კიევის ქუჩა #1)
ს/კ: 01009005243
ტ: 599 94 45 17;
ელ-ფოსტა: vesta.gk@gmail.com
სს ,,საქართველოს ბანკი''
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა: GE75BG0000000888000801

ი.მ. გიორგი კანდელაკი

დანართი N1

პირველი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის ტექნიკური მაჩვენებლები

1	ქაღალდის სრული დასახელება (ბრენდი)	Jk COPIER
2	მწარმოებელი ქვეყანა	ინდოეთი
3	გრამაჟი (გრ/მ2)	80
4	სიკაშკაშე (%)	94
5	გაუმჭვირვალობა (%)	93
6	სითეთრე (CIE) Wcbg (ულტრაიისფერი სხივების გათვალისწინებით –%)	150
7	შეკვრაში ფურცლების რაოდენობა	500

ქაღალდი განკუთვნილია ლაზერული პრინტერებისათვის, ჭავლური პრინტერებისათვის, ასლ გადამღები აპარატებისათვის და ორმხრივი ბეჭდვისათვის

„შემსყიდველი"
სსიპ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის
სოფელ ბოგვის საჯარო სკოლა
ს/კ 230867078
ტელ: 591058777
ელ-ფოსტა:bogviskola@gmail.com
ბანკის კოდი: BAGAGE22
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა: GE38BG0000000161239734

მარინე მჭედლიშვილი

„მიმწოდებელი"
ი.მ. გიორგი კანდელაკი „ ვესტა“
ქ. თბილისი, აღმაშენებლის №55/1
(კიევის ქუჩა #1)
ს/კ: 01009005243
ტ: 599 94 45 17;
ელ-ფოსტა: vesta.gk@gmail.com
სს ,,საქართველოს ბანკი''
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა: GE75BG0000000888000801

ი.მ. გიორგი კანდელაკი

მიღება–ჩაბარების აქტი: **№11**

05.03 2020 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთი მხრივ, სსიპ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ბოგვის საჯარო სკოლის წარმოდგენილი მისი დირექტორი მარინე მჭედლიშვილის სახით "შემსყიდველი" და მეორე მხრივ, ი.მ. „გიორგი კანდელაკი - ვესტა" - „მიმწოდებელი" ვადასტურებთ, რომ მხარეებს შორის 2020 წლის 5 მარტს დადებული № **11** ხელშეკრულების თანახმად, ი.მ. „გიორგი კანდელაკი - ვესტა"-ს მიერ შესრულებული იქნა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, მიწოდებული იქნა 40 (ორმოცი) **შეკვრა** A4 ფორმატის პირველი ხარისხის საბეჭდი ქაღალდი Jk COPIER , კონსოლიდირებული ტენდერით **(CON190000470),** ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ადგილას და ვადებში,

მიწოდებული საქონლის ღირებულება 310,80 **(სამასათი და ოთხმოცი)** ლარი ექვემდებარება ანაზღაურებას სსიპ სოფელ ბოგვის საჯარო სკოლის მიერ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

„შემსყიდველი"
სსიპ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის
სოფელ ბოგვის საჯარო სკოლა
ს/კ 230867078
ტელ: 591058777
ელ-ფოსტა:bogviskola@gmail.com
ბანკის კოდი: BAGAGE22
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა: GE38BG0000000161239734

მარინე მჭედლიშვილი

„მიმწოდებელი"
ი.მ. გიორგი კანდელაკი „ ვესტა"
ქ. თბილისი, აღმაშენებლის №55/1
(კიევის ქუჩა #1)
ს/კ: 01009005243
ტ: 599 94 45 17;
ელ-ფოსტა: vesta.gk@gmail.com
სს „საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა: GE75BG0000000888000801

ი.მ. გიორგი კანდელაკი